საქართველო

15865-01-2-201804171319

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/15865
17/04/2018

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილეს ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

ქალბატონო თამილა,

შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გაცნობებთ, რომ საელჩოს წარმომადგენელემა ა.წ. 4 აპრილს, შეხვედრა გამართა ქ. ბერნში შვეიცარიის კონფედერაციის იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტის მიგრაციის სახელმწიფო სამიდივნოს წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე შვეიცარიის მიგრაციის სამსახურის წარმომადგენლებმა საელჩოს თანამშრომელს ინფორმაცია მიაწოდეს შვეიცარიაში საქართველოს მოქალაქეთა მხრიდან თავშესაფრის თხოვნის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ; კერძოდ, აღინიშნა, რომ უვიზო რეჟიმის ძალაში შესვლის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს მოქალაქეთა მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნის რაოდენობა, განსაკუთრებით 2017 წლის ბოლოსა და 2018 წელს. 2018 წლის პირველ კვარტალში შვეიცარიამ საქართველოს მოქალქეთა 257 განაცხადი მიიღო, რაც გასული წლის ამავე პერიოდის მოანაცემთან (118 საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელი) შედარებით 117% მეტია. აღნიშნული ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, მიგრაციის სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, 2018 წლის ბოლოსთვის ეს რიცხვი 1000-მდე შეიძლება გაიზარდოს, რის გამოც საქართველო თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნების პირველ სამეულში შეიძლება აღმოჩნდეს (სირიასთან, ავღანეთთანდა ერიტრეასთან ერთად). **შვეიცარულმა მხარემ განსაკუთრებული წუხილი გამოხატა იმ ფაქტის გამო, რომ ბოლო პერიოდში არსებული ტენდენციის მიხედვით (დაახლოებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში) თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა შორის უმრავლესობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემების მქონე პირია**. მათ შორის ხშირია ონკოლოგიური, ასევე ჰეპატიტთან, ტუბერკულიოზთან და სხვა ქრონიკულ დაავადებებთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა შვეიცარიულ მხარეს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში მოქმედი სხვადასხვა სახის სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების შესახებ, როგორებიც არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა. შვეიცარიული მხარის განცხადებით, მათთვის ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობა მსგავს პროგრამებს ახორციელებს, თუმცა მიუხედავად ამისა, შვეიცარიაში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე საქართველოს მოქალაქეთა მხრიდან სულ უფრო მატულობს თავშესაფრის თხოვნით მიმართვა. შვეიცარიას ასეთი მოქალაქეების თავშესაფრის არცერთი მოთხოვნა არ დაუკმაყოფილებია, თუმცა იძულებულია ჰუმანიტარული მოსაზრებების გამო არ გააძევოს ქვეყნიდან მსგავსი პრობლემების მქონე პირები და სამედიცინო დახმარება გაუწიოს მათ. აღნიშნული პირები მკურნალობის პერიოდში ოჯახის წევრებთან ერთად (ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით) იმყოფებიან შვეიცარიაში თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით. შვეიცარიის მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს წარმომადგენლებმა, ასევე აღნიშნეს, რომ მათი ინფორმაციით ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს, შესაძლოა საქართველოში მათი

მკურნალი ექიმები აძლევდნენ რეკომენდაციას შვეიცარიაში გამგზავრებასთან, იქ მკურნალობასთან და შესაძლოა, ამ მიზნით თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. შვეიცარიულმა მხარემ, ასევე აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულმა ტენდენციამ ერთგვარი ,,სამედიცინო ტურიზმის" სახე მიიღო, რაც შვეიცარიისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. შეხვედრაზე, ასევე აღინიშნა, რომ საქართველოდან ტრადიციულად, ასევე დიდია ისეთი თავშესაფრის მაძიებელთა მიმართვები, რომლებიც არიან ნარკოდამოკიდებულნი და შვეიცარიში მეტადონის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებში ერთვებიან, რადგან საქართველოში შეზღუდული აქვთ წვდომა მსგავსი ტიპის პროგრამებზე *(აღსანიშნავია, რომ არაოფიციალური შეხვედრების დროს საქართველოს საელჩოს წარმომადგენელთან შვეიცარიის მიგრაციის სამსახურის წარმომადგენლებს ხშირად აღუნიშნავთ თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა შორის ნარკოდამოკიდებულების პრობლემის არსებობის შესახებ, რაც არა მარტო ბოლო ერთი წლის, არამედ მრავალი წლის პრაქტიკაა. შვეიცარიის მიგრაციის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, აღნიშნული საქართველოს მოქალაქეებს გამოარჩევს სხვა ქვეყნის მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელებისგან, მათ შორის საქართველოს მეზობელი და რეგიონის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისგან. შვეიცარიის მიგრაციის სამსახურისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით ამ თემაზე ჩატარდა კვლევა, რომელშიც განხილულია საქართევლოს მოქალაქე ნარკოდამოკიდებული პირების მხრიდან შვეიცარიაში თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზები (კველვამ საფრანგეთის და ავსტრიის მაგალითებიც შეისწავლა და დაადგიგნია, რომ მსგავსი ტენდენცია არა მარტო შვეიცარიაში, არამედ ზემოაღნიშნულ ქვვეყენბშიც შეინიშნებოდა), შვეიცარიამ საქართველოში, ასევე განახორციელა პროექტები, რომლებიც ნარკოდამოკიდებული პირების დახმარებას და რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად).*

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის მოადგილე